აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №10

21/08/2024 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ჩართულ მხარეებს (საარჩევნო პერიოდში) მიეცეთ შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარადგინონ (PDF ფორმატში) ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (info@sec.ge). გარდა პარტიის მიერ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით წარსადგენი განცხადება და მასთან თანდართული მასალებისა, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოში წარსადგენი პარტიული სიებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენა განხორციელდეს ყოველდღიურად 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. დოკუმეტაცია, რომელიც ელექტრონულად წარმოდგენილი იქნება 18:00 საათის შემდეგ, წარმოდგენილად ჩაითვლება მომდევნო დღის 10:00 საათიდან.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დედნიდან ელექტრონულ ფორმატში (სკანირება) გადაყვანილი, თუ ვერ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტის იდენტიფიცირება უსკოს შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია არ დაარეგისტრიროს ეს დოკუმენტი და წარმომდგენს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის მატერიალურად წარმოდგენა.

4. ელექტრონულად შემოსული საარჩევნო დოკუმენტაცია ამოიბეჭდოს და მისი რეგისტრაცია განხორციელდეს უსკოს საქმისწარმოების ელ-სისტემაში (eDocument-ის პროგრამაში). შემოსულ დოკუმენტს მის დამუშავებამდე ფურცლის მარჯვენა ქვედა

კუთხეში დაესმება უსკოს შტამპი რომელშიც აღინიშნება სისტემის მიერ მინიჭებული ნომერი, რიცხვი, თვე და წელი.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე
კომისიის მდივანი